AIA-GESS-ი „დარგის ლიდერია"

შვეიცარიის რეიტინგების ასოციაცია და ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების კავშირი რამდენიმე წელია საპატიო ჯილდოს გადასცემს კომპანიებს, რომლებიც რანჟირების შედეგად მოხვდა ოქროს რეიტინგის ათეულში, და რომლებმაც რეალური წვლილის შეტანა შეძლეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და აწარმოეს სოციალურად პასუხისმგებელობის მიხედვით წარმატებული ბიზნესი. AIA-GESS-ს 4 ოქროს მედალი აქვს, ის დარგის ლიდერია საგანმანათლებლო სივრცეში, რაც უდიდესი საერთაშორისო აღიარება და წარმატებაა.

2017 წელს 28 მაისს ბათუმში, სასტუმროში Leogrand Batumi, გაიმართა ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების საერთაშორისო კავშირის XXXI დაჯილდოვების ცერემონიალი, სადაც მონაწილეობას იღებდა რვა ქვეყნის ყველაზე წარმატებული კომპანია. თითოეული დარგიდან სტატისტიკური რანჟირების შედეგების მიხედვით გამოვლინდა "დარგის ლიდერი 2016". საგანმანათლებლო სივრცეში ოქროს მედალი გადაეცა „რეიტინგი ოქროს" პირველ ადგილზე მყოფ სკოლას – სერვანტესის სახელობის გიმნაზია „აია-ჯესს-ს" ჯილდოების ჩამონათვალი ასე გამოიყურება: დარგის ლიდერი 2016 – სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესსი; Decus Oeconomicae – კომპანიის ეფექტური მართვისთვის, დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის -სკოლის დირექტორი რუსუდან ბოლქვაძე; მედალი პროფესიული დამსახურებისთვის – სკოლის დირექტორთა საბჭოს წევრები ნონა ბოლქვაძე და ლელა ბოჭოიძე; წლის საუკეთესო სპეციალისტი – ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სკოლის STEM-კლუბის მენტორი თემურ ჩიჩუა; წლის სპეციალისტი ნომინაციაში: ფინანსები და აუდიტი – სკოლის აუდიტი ლევან ქველაძე

2018 წლის 24 მარტს თბილისში, სასტუმრო „ჰუალინგში" გაიმართა UNBR Award Ceremony -2017-ის დაჯილდოვება, სადაც მონაწილეობას იღებდა ორმოცდაათამდე როგორც ქართული ისე უცხოური ქვეყნის კომპანია. ისინი შეირჩნენ სტატისტიკური რანჟირების შედეგების მიხედვით, გამოვლინდა "დარგის ლიდერი 2017" და წლის საუკეთესო სპეციალისტები. საგანმანათლებლო სივრცეში ოქროს მედალი გადაეცა „რეიტინგი ოქროს" პირველ ადგილზე მყოფ სკოლას – სერვანტესის სახელობის გიმნაზია „აია-ჯესს-ს". წლის საუკეთესო სპეციალისტის სტატუსით დაჯილდოვდნენ გიმნაზიის უცხო ენების კათედრის ხელმძღვანელი თამარ უსანეთაშვილი და მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი ვახტანგ ჭუმბურიძე.

სერვანტესის სახელობის გიმნაზიას საგანმანათლებლო სივრცეში რეიტინგში პირველი ადგილის ფლობისთვის კიდევ ერთი ოქროს მედალი გადაეცა - „დარგის ლიდერი 2018", წლის საუკეთესო ხელმძღვანელის სტატუსით დაჯილდოვდნენ გიმნაზიის მმართველი თეა დარსალია და დირექტორის მოადგილე თეონა ლაბაძე.

2020 წლის 27 თებერვალს "შერატონ გრანდ მეტეხი პალასში"-ში ჩატარდა საერთაშორისო დაჯილდოების ცერემონია. AIA-GESS-მა ოქროს რეიტინგში პირველი ადგილი მოიპოვა და დაჯილდოვდა ოქროს მედლით “დარგის ლიდერი 2019”.
წლის საუკეთესო სპეციალისტის სტატუსით დაჯილდოვდნენ სკოლის დირექტორის მოადგილე ლია ხამხაძე და ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი დარეჯან ლორთქიფანიძე.

2022 წლის 15 აპრილს Bioli Medical Wellness & Resort-ში შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციის და ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების კავშირის საერთაშორისო დაჯილდოების რიგით მეთორმეტე ცერემონია გაიმართა საქართველოში.
აია-ჯესს-ს გადაეცა ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების და შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციის ერთობლივი საერთაშორისო ჯილდო "Leader of the Year", რომელიც დაპატენტებულია საერთაშორისო ორგანიზაცია WIPO-ს მიერ.